ახალი

განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2018 წელი 28 აგვისტო № 8 № 8137

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

უცხოელები აღფრთოვანებულნი არიან ქართული ცხოვრების წესით, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით, ქართველთა შინაგანი კულტურით, განსაკუთრებით ქართველი ქალების კდემამოსილებით, ოჯახისადმი ერთგულებით, სილამაზითა და სათნოებით. საქართველოში მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებებით ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებენ ქართველების, ქართველი ქალების შესახებ.



ღვთისმშობელო ქალწულო,
გიხაროდენ, მიმადლებულო
მარიამ, უფალი შენთანა,
კურთხეულ ხარ შენ დედათა
შორის და კურთხეულ არს
ნაყოფი მუცლისა შენისა,
რამეთუ მაცხოვარი გვიშვენ
სულთა ჩვენთა.

იმანუელ კანტი:

საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეა გახლავთ. ყველა ევროპელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებაზე.

პიეტრო დელა ვალე:

ქართველები არიან მამაცნი, მაგრამ მოქმედებაში ნაკლებად ერთიანნი. ცდილობენ შიგნით შუღლის ჩამოგდებით ერთმანეთი დაღუპონ. საერთოდ, წყნარი, გამგონი, კეთილი გულის, ურთიერთობაში უბრალონი არიან. მოლაპარაკების დროს არ არიან ჯიუტნი, მატყუარანი, ორპირნი, მათთან ყოველი კეთილი საქმის მოგვარება შეიძლება.

86 წელი თქვენთან ერთად!

თუ თლობი ცხიდცერრეგო ლა ბნიშვნელოვან მცხალთან გაბეთიან ინტერიალან გამოგვიცხადეთ.

87-ე წელია ჩვენი გაბეთი ინერგა, ვგრთვენა, ინთხვენ ჩვიონინ ინტერესა, ცხრეგ ვრ ფლინ ყვითელ ბრეცხა, ქმნინ ჩვენი ტცოვრენინ შეფლოვმაბენელ მეტიანენ

გამოინერეთ "ახალი განთიადი" ლა გაბლით ჩვენი მეითხველი!

12 აგვისტოს, 01 საათსა და 20 წუთზე დაიბომბა კასპი

8 აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

ქალაქის ცენტრში შეკრებილებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი. მამა გიორგიმ მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მემორიალი გვირგვინით შეამკო აგვისტოს ომში დაღუპული და 2012 წელს გადმოსვენებული გელა თიგიშვილის დედამ ქალბატონმა ქეთევან თიგიშვილმა.

შეხვედრამ კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაინაცვლა, სადაც აჩვენეს 2008 წლის ომის დოკუმენტური ფრაგმენტები.

შეკრებილებმა გაიხსენეს საქართველოს უახლესი ისტორიის უკანასკნელი ომების დღეები...

აღინიშნა, რომ კასპის მუნიციპალიტეტიდან სამი ჯარისკაცი შეეწირა ომს: სერჟანტი გელა თიგიშვილი, იოსებ ბეჟუაშვილი და კაპრალი კახა კოშაძე. (შინდისის ბრძოლის ერთ-ერთი გმირი).

სახელმწიფო პროგრამა “აწარმოე საქართველოში”

18 აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო პროგრამით “აწარმოე საქართველოში” ფარგლებში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში შესული ცვლილებების გაცნობა.

პროგრამის ბენეფიციარის/ბენეფიციართა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

სრული ინფორმაციისათვის ეწვიეთ Qartuli.ge -ს.

ღია კარის დღე გადასახადის გადამხდელებთან

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2018 წელს შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, გადასახადის გადამხდელებთან ღია კარის დღე გაიმართა.

ღია კარის დღეზე გადასახადის გადამხდელები გაეცნენ საგადასახადო ცვლილებებს, დასვეს კითხვები და მიიღეს შესაბამისი პასუხები.

გადასახადის გადამხდელებთან ღია კარის დღე შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩაატარეს.

ხიდის რეაბილიტაცია სოფელ ქვემო ჭალაში

სოფელ ქვემო ჭალაში მდინარე ლეხურაზე მდებარე საავტომობილო ხიდს - გზებისა და ხიდების მოვლა-პატრონობის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ხიდს, რომლის სიგრძე 50 გრძივი მეტრია გაუსუფთავდა გვერდულები, მოეწყო წყალამრიდები და მოაჯირები. აღნიშნული ხიდი სოფლის ორ მხარესა და გამყოფიხაზისპირა სოფლებს - ახალშენსა და საკორინთლოს ქვემო ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულთან აკავშირებს. რეაბილიტირებული ხიდი ხელს შეუწყობს როგორც ტრანსპორტის, ისე მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას.

სამუშაოები საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შპს “გზა და ხიდების” მიერ იქნა განხორციელებული. სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული.

ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

ბოლო წლებში ჩატარებული ქუჩების მოასფალტების სამუშაოები ჯერ კიდევ საერთო მოწონების და მადლიერების საგანია.

ქალაქში გრძელდება ქუჩების ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მოასფალტებული თაყაიშვილის და ჭონქაძის ქუჩებით მოსარგებლე მოსახლეობას ფეხით მოძრაობა და ტრანსპორტით გადაადგილება გაუუმჯობესდათ.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა კასპში ეფრემ მეორის ქუჩაზეც. მიმდინარე წელს ქალაქში კიდევ ორი ქუჩა მოასფალტდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სადგურ მეტეხის დასახლებაში სასმელი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

სადგურ მეტეხის დასახლებაში სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ დასახლების 200 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს "ფუძე" აწარმოებს და მასზე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 205 198 ლარი დაიხარჯება.

ახალი სასწავლო წლისათვის კასპის №1 საჯარო სკოლა დასრულდება?



ქალაქის №1 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. დასრულების შემდეგ, სკოლა ყველა საჭიროებით ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სკოლა იქნება საქართველოში. სსიპ განმანათლებლო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამშენებლო - საპროექტო სამსახურის უფროსი მერაბ ჭონიაშვილი აღნიშნავს, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის დასრულდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

იმისათვის, რომ შვილი ბედნიერი იყოს

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ქადაგებიდან:

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც დგას კაცობრიობის წინაშე, ეს არის ოჯახის პრობლემა. ურთიერთდამოკიდებულება მშობლებსა და შვილებს შორის. მათ შორის სიმშვიდე არ არის. იმის მაგივრად რომ შვილები სიყვარულით იყვნენ, ძალიან ხშირად აკრიტიკებენ, შეურაცხყოფას აყენებენ დედ-მამას.

არის შემთხვევა, როცა დედა სწყევლის შვილებს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ძალიან საშიშია და წყევლა სრულდება.

ჩვენს წინაპრებში იყო შვილების დალოცვის ტრადიცია. იმისათვის, რომ შვილი ბედნიერი იყოს, მშობელმა ყველა შვილი ცალ-ცალკე უნდა დალოცოს.

დალოცვის წინ აჩუქოს მას ნაკურთხი ხატი, რომელიც იქნება შვილისათვის მფარველი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თქვენ უნდა მოემზადოთ, სანამ დალოცავთ თქვენს შვილს. მამამ

ცალკე უნდა დალოცოს და დედამ ცალკე.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შეასრულებთ ამ წესს. ეს დალოცვა ჩვენ შევადგინეთ და დღეს პირველად წავიკითხავთ. ასეთი წესი იქნება, შვილს დააყენებთ მუხლებზე, იმ ხატის წინაშე, რომლითაც თქვენ ლოცავთ.

ორივე ხელს დაადებთ თავზე და წაიკითხავთ ამ ლოცვას. თქვენ ნახავთ, უფალი სასწაულს მოგივლენთ და სრულიად შეიცვლება თქვენი ოჯახი სიკეთისაკენ. უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით.

თქვენ ნახავთ რომ დალოცვის შემდეგ ოჯახში სიყვარული და სიმშვიდე შემოვა. დამშვიდდებიან მშობლები, დამშვიდდებიან შვილები.

ღმერთო ჩვენო, მამაო ყოვლისა მპყრობელო, ძეო ღვთისაო, უფალო ჩვენო იესო ქრისტე, სულო წმინდაო, ცხოველსმყოფელო, სამებაო, ერთარსო და განუყოფელო, გარდამოიხილე ზეცით, მოწყალე თვალით და დალოცე შვილები ესე საქართველოისა, მონანი და მხევალნი ღვთისანი და მიმადლე მათ მრავალჟამიერი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მტკიცე მართლმადიდებლური სარწმუნოება, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, თავმდაბლობა, განცდაი თვისთა ცოდვათა, სიბრძნე, სიმშვიდე, მოთმინება, ნიჭი და უნარი სწავლისა და შრომისა, ბედნიერი ოჯახი, მრავალი შვილი, კეთილდღეობა და სიხარული, გონება საღი და გახსნილი, გული წმინდა, სიყვარული მშობელთა თვისთა, ჰოი უფალო, შეისმინე ჩემი ლოცვა და დაიფარე შვილნი ესე ჩემი ხილული და უხილავი მტრებისაგან და ღირს ჰყავ ისინი ცათა სასუფევლისა, ლოცვითა და მეოხებითა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმინდათა შენთათა, ამინ.

კინო

„მე - ჩვენ"

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) თეატრალური წრის (ხელმძღვანელი ლია მენაბდიშვილი) სასწავლო - ექსპერიმენტული მოკლემეტრაჟიანი ფილმის " მე - ჩვენ" საპრემიერო ჩვენება.

შეხვედრაზე ყველა ერთხმად გამოთქვამდა სიხარულს, რომ ჩვენს ქალაქშიც შემოაღწია კინოს შექმნის "ჯადოსნურმა ვირუსმა". ახალგაზრდების და მათი ხელმძღვანელის საზოგადოებრივ საწყისზე შექმნილმა ფილმმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თვით საბაზრო ეკონომიკის მკაცრ რეალობაშიც ადამიანური ძალისხმევა, მონდომება, ინტერესი და თანადგომა შეიძლება გახდეს წარმატების საძირკველი, რომელზეც დაშენდება ჩვენი ქალაქის მხატვრული კინო-მატიანე.

"მე - ჩვენ" ამ ორ სიტყვას შორის გარინდებული ტირის არსებობის შეხსენება სწორედაც დროულია არა მხოლოდ მოზარდებისათვის, არამედ თანამედროვე ზრდასრულთათვის. ასე, რომ გიწონებთ სათაურსაც და მეგობრობა-ეგოიზმს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე სწორად გავლასაც.

საპრემიერო ჩვენებაზე წრის ხელმძღვანელმა ლია მენაბდიშვილმა მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის ლაშა ზუბიაშვილს, გიორგი ბიძინაშვილს, ხატია ბაინდურაშვილს, მამუკა პაპაშვილს, რომ არა მათი თანადგომა და მონაწილეობა, უბიუჯეტო იდეა დარჩებოდა იდეად! მადლობა ყველას, ვინც დახმარების ხელი გამოგვიწოდა! ჩემს დათო პარკაძეს, რომელმაც საკუთარი ეტლი დაგვითმო; ჩვენს მამუკა ბერიძეს, რომელმაც საკუთარი კლინიკა "მარი მედი" დაგვითმო და მედპერსონალიც მოგვახმარა! ასე იცის მეგობრობამ! ბავშვები ეზიარნენ კინოხელოვნებას. ხარისხზე პრეტენზია არ გვაქვს, ჩვენ როგორც იქნა დავიწყეთ! გაგრძელება იქნება!

ექსპერიმენტულ მოკლემეტრაჟიან ფილმში "მე - ჩვენ" მონაწილეობენ "ლილე" - ელენე

ახვლედიანი, "მაშო" - მარი ელბაქიძე, "ნუცა" - ანი სეხნიაშვილი,"ლიზა" - სალომე ნაცვალაშვილი, "მარიანა" - გვანცა ევანისელი, "მარი" - მარი მერებაშვილი, "ნინო" - ნინო ბერიანიძე, "ტატო" - ტატო ჭუმბაძე.

ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი - ლია მენაბდიშვილი, ოპერატორი - ლაშა ზუბიაშვილი, მონტაჟი - გიორგი ბიძინაშვილი, მუსიკალური გაფორმება - გიგი პიანომენი.

კარგა ხანია შეთანხმებულია საზოგადოება, რომ ჩვენი კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ კინოს უჭირავს. ლეგენდარული იტალიელი რეჟისორი ფედერიკო ფელინი ამბობდა : "ქართული კინო უჩვეულო ფენომენია, სპეციალური, ფილოსოფიური ნათება, რთული და ამავე დროს ბავშვურად წმინდა და უმანკო. მასში ყველაფერია, რაც მე მატირებს და მინდა გითხრათ, რომ ეს (ჩემი ატირება) არც ისე ადვილია".

მივეხმაროთ ჩვენებურ კინომოყვარულებს, ისინი იმსახურებენ თანადგომას.

მოვიძიოთ თანხა, ვიპოვოთ კინოს გამგები და მოყვარული სპონსორები!

სხვათა შორის, ყველა წარმატებული ქართველი თავისი მეცნატობით შემორჩა ისტორიას... აი მაგალითად, ლეგენდარულმა დავით სარაჯიშვილმა ქართულ თეატრს შენობები უყიდა.

წამყვანი მასწავლებელი

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით განათლების სისტემაში წარმატებით ხორციელდება ნოვაციური, ძალიან საინტერესო პროექტები – მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის. პერსპექტიულ აქტივობებში აქტიურად არიან ჩართული კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლები.

– ნამდვილად სასიხარულოა, მეტიც, საამაყო, რომ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემებით განსაზღვრული აქტივობებით ჩვენი საჯარო სკოლების სამმა პედაგოგმა /ნინელი ყაზარაშვილი, ნანი ბარნაბიშვილი, თინათინ კურდღელაშვილი/ უკვე მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის წოდება, – აცხადებს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან მიგრიაული, – დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, წამყვანი მასწავლებლის წოდებას სამომავლოდ კიდევ ბევრი პედაგოგი მოიპოვებს.

ვულოცავთ წამყვან პედაგოგებს მიღწეულ გამარჯვებას, რამეთუ, ეს გახლავთ მათი კვალიფიკაციისა და შრომის დიდი დაფასება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის გამოწვევა, უდიდესი სტიმული სხვა პედაგოგებისათვისაც...

არიან მასწავლებლები, რომელთაც კარგა ხანია საერთო აღიარება მოიპოვეს და პედაგოგის პროფესიას ძალიან ბევრი შესძინეს საკუთარი თავდაუზოგავი შრომით, მოსწავლეებისადმი ერთგულებით, ინოვაციური პროექტების განხორციელებით, მოსწავლეთა აღიარებით - ასეთი გახლავთ ნინელი ყაზარაშვილი, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ქიმიის მასწავლებელი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი,ახლა უკვე წამყვანი მასწავლებელი.

ნინელი ყაზარაშვილი დაიბადა და გაიზარდა ოჯახში, სადაც ადამიანები უყვართ, სადაც წიგნი და წიგნიერება დაფასებული იყო და არის...

1972 წელს დაამთავრა კასპის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1977 წელს განაწილებით მუშაობდა ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

ოთხი წლის შემდეგ, 1981 წელს დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, მუშაობდა ქიმიკოსად წყლის კონტროლის ლაბორატორიაში, კასპის პროფტექნიკურ სასწავლებელში და თავს ბედნიერად თვლის, რომ ემსახურებოდა მისთვის საინტერესო საქმეს, მშობლიურ ქალაქს... შემდეგ მუშაობა მოუწია კავთისხევისა და თვალადის საშუალო სკოლებში ქიმიის მასწავლებლად. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლობამ საბოლოოდ განსაზღვრა მისი ცხოვრება...

ნინელი ყაზარაშვილმა პირად საუბარში გაგვანდო - უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა დამეუფლა, როდესაც სკოლის მოსწავლეებთან მომიხდა ურთიერთობა, დიახ, მომავალი თაობის აღზრდა, მათზე ზრუნვა ჩემთვის უპირველესი საზრუნავი გახდა.

მიხარია, რომ ბევრს შევაყვარე ქიმიის საგანი, ბევრმა ჩემმა მოსწავლემ პროფესიად აირჩია იგი, მიიღო სამედიცინო განათლება და დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ ამ სფეროში...

და მაინც, სადაც უნდა მემუშავა, ყოველთვის ვთვლიდი, რომ სკოლა, ბავშვები იყო ჩემი საქმე, აი, ახლაც ჩემი მუდმივი საზრუნავია კასპის მეოთხე საჯარო სკოლა, სადაც უამრავ თაობას გავუწიე მეგზურობა, ვასწავლე, მივეხმარე საკუთარი ადგილის, გნებავთ პროფესიის პოვნაში, დავაკვალიანე...

სხვათა შორის, ნინელი ყაზარაშვილის განხორციელებული პროექტების ნუსხა და ჯილდოთა მონაგარი უკომენტაროდ საუბრობს გაწეულ სამუშაოზე. კერძოდ, პროექტები : "უჩინარი ადამიანები", "ტექნოლოგიების დანერგვა სკოლებში", "რა განძი გვქონია" (რესპუბლიკური კონკურსის საპრიზო ადგილი), "სპირტი და სპორტი", "თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება მოზარდებში" (600 წარმოდგენილი პროექტიდან ნინელი ყაზარაშვილისა და მაია გოჭოშვილის ნამუშევარი გამარჯვებულთა შორისაა),"გვაქვს უთვალავი ფერითა" (კონკურსი-ექსპერიმენტის ახსნა); შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ომის შემდგომ ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის ფარგლებში შიდა ქართლიდან რვა მასწავლებელი გაგზავნილი იყო ვარშავაში, ამ სწავლების შემდეგ დაიბადა პროექტი "საინტერესო ექსპერიმენტები". ნინელი ყაზარაშვილი არის ტრენერი საბუნებისმეტყველო საგნებში, ტრენერად იმუშავა შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, ბორჯომში, გორში, ახალციხეში, კასპში.

თინათინ კურდღელაშვილი, კასპის მესამე საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი – დავამთავრე კასპის მესამე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანგლისტიკის ფაკულტეტზე, უფასოზე.

ბავშვობიდან მაინტერესებდა ინგლისური და მასწავლებლის პროფესიაც მიზიდავდა...

ასე, რომ ეს ორი მისწრაფება გავაერთიანე, ბაკალავრიატიც დავამთავრე და გავხდი ინგლისურის მასწავლებელი, თან პარალელურად უნივერსიტეტში სწავლა გავგლებში მომენიჭა წამყვანი მასწავლებლის წოდება და ჩვენმა სკოლამ ამირჩია ამავე სქემის ფასილიტატორად.

2017 წელს წარმატებით დავიცავი დისერტაცია თემაზე: "თავაზიანობის სტრატეგიები და მიმართვის ფორმები ინგლისური ენის გაკვეთილზე" /ქართულ და ინგლისურ ენათა მაგალითზე/ და მომენიჭა ფილოლოგიის დოქტორის წოდება, ვარ წამყვანი მასწავლებელი...

მონაწილეობა მაქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში /2015 წელი, ლონდონი/, გამოქვეყნებული მაქვს სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე და გავლილი მაქვს არაერთი პროფესიული განვითარების ტრენინგი საქართველოში თუ საზღვარგარეთ...

ინგლისურის ინტენსიური კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გადაცემა. შოტლანდია, ედინბურგი.

2016 წლის ივნისში სხვა ჩემს კოლეგებთან ერთად ვმონაწილეობდი საქართველოს მთავრობის ორგანიზებით გამართულ პრესტიჟულ კონკურსში, რის საფუძველზეც გავიარე ინგლისური ენის ინტენსიური გადამზადების ორკვირიანი კურსი დიდ ბრიტანეთში, კერძოდ კი, შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში, ინგლისურის აგრძელე მაგისტრატურაში ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით, რომელსაც მოჰყვა დოქტორანტურა იმავე განხრით, იმავე სასწავლებელში.

2010-2011 წლებში ჩავაბარე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ორი ეტაპი, რის შედეგადაც გავხდი ეგრეთ წოდებული "ათასლარიანი მასწავლებელი".

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარცენტრში, რამაც ძალიან დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება შემძინა – არა მხოლოდ კვალიფიკაცია ავიმაღლე, არამედ, გავიცანი არაჩვეულებრივი მასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებთანაც მჭიდრო კონტაქტსა და პროფესიულ თანამშრომლობას დღემდე ვაგრძელებ.

რაც შეეხება ჩემს პროფესიულ გამოცდილებას, 2011-2012 წლებში თსუ-ს ამერიკანისტიკის მიმართულების სტუდენტებს ვუკითხავდი სალექციო კურსს "ბრიტანულ-ამერიკული ინგლისურის ენობრივი განსხვავებები", რამაც დიდი გამოცდილება შემძინა ამ საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად და შემგომში, მის ჩემს მოსწავლეებისათვის გასაზიარებლად...

ორათეულ წელზე მეტია, ჩემს მშობლიურ სკოლაში ინგლისურს ვასწავლი, ამით ძალიან ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი პედაგოგიური კოლექტივით, რომელიც მხარში მიდგას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუშაობა მიწევს უნიჭიერეს, წარმატებებზე ორიენტირებულ ახალგაზრდებთან და მათი დიდი იმედი მაქვს...

წამყვანი მასწავლებელი

ნანი ბარნაბიშვილი – გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთის საჯარო სკოლის დირექტორი, უკვე 26 წელია, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა...

თელიანელმა გოგონამ 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა სასირეთის საჯარო სკოლა და სწავლა განაგრძო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე...

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1992 წლიდან ნანი ბარნაბიშვილი მშობლიური სკოლის ნაცნობ პედაგოგიურ კოლექტივს შეუერთდა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მალევე დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი, ოდნავ მოგვიანებით კი, /2007 წელს/ სკოლის დირექტორის თანამდებობაც დაიკავა. ნანი ბარნაბიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა /2010 წელს/ ჩაბარა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, რის საფუძველზეც მას მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტი, რომ ნანი ბარნაბიშვილი 2011 წლიდან ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პრფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში...

ამ წლების განმავლობაში იგი მუდმივად ზრუნავდა პროფესიულ განვითარებაზე, გავლილი აქვს უამრავი საგნობრივი ტრენინგი, კარგად იცნობს განათლების სისტემის თანამედროვე მოთხოვნებსა და მიდგომებს, სწორედ მისი თაოსნობითა და ორგანიზებით სასირეთის საჯარო სკოლაში განხორციელდა არაერთი აქტივობა: პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, სასწავლო და სოციალური პროექტები, მისივე ხელშეწყობითა და ინიციატივით სკოლაში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილები, შექმნა რესურსი, გაიარა გარე დაკვირვება და ამდენად, სრულიად სამართლიანად მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი... წლების განმავლობაში ნანი ბარნაბიშვილს ჩატარებული აქვს მრავალი სასკოლო თუ კლასგარეშე ღონისძიება, მაგალითად, მკითხველთა თეატრი, სანახაობრივ-შემეცნებითი წარმოდგენა და სხვა . ამიტომაც არის, რომ მისი მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კონკურსებსა თუ ოლიმპიადებში, ამიტომაც არის, რომ სასირეთის საჯარო სკოლას ჰყავს ქართული ენის რესპუბლიკურ-შემოქმედებით კონფერენციაში და ზონალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლე, რომელსაც მიღებული აქვს სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაწესებული ჯილდო...

მიუხედავად გადატვირთული რეჟიმისა, ნანი ბარნაბიშვილი კვლავაც აქტიურად აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და უდიდესი მონდომებით მონაწილეობს აქტივობებში, უკვე შემუშავებული აქვს სამომავლო გეგმები, რომელიც უკავშირდება პედაგოგის კარიერულ წინსვლას.

თუ თავადაც ვერ იჯერებ ...

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი.'' ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გამოინერეთ ,,ახალი განთიადი,,

ისინი ებრძვიან ავადმყოფობასა და სიბერეს

ბოლო ათწლეულში მეცნიერებმა ისეთი სენსაციური ნახტომების შესახებ შეგვატყობინეს, რომ, მალე, ალბათ, მრავალი უკურნებელი სენი დაიძლევა ღეროვანი უჯრედების საშუალებით. მანამდე კი, მოგითხრობთ ისტორიისა და ჩატარებული კვლევების ძირითადი არსის შესახებ. ბოლოს კი, უახლეს, რევოლუციურ აღმოჩენაზე გიამბობთ.

მილიარდობით უჯრედი მხოლოდ და მხოლოდ ერთი უჯრედისაგან იბადება. მას ზიგოტა ეწოდება. ეს ერთადერთი უჯრედი, კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმის შედეგად წარმოქმნილი, თავის თავში მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ ორგანიზმის შესახებ, არამედ მისი შემდგომი განვითარების მთელ ურთულეს სქემას.

ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა წლებში ცნობილი გახდა მეცნიერთათვის, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ღეროვან უჯრედებს შეიცავს ემბრიონი, ჭიპლარის სისხლი და ძვლის ტვინი. 1953 წელს ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ძვლის ტვინის გადანერგვით შესაძლებელია სიცოცხლე შეუნარჩუნდეს ცხოველებს, რომელთაც რადიაციის სასიკვდილო დოზა მიიღეს. გადანერგილი ძვლის ტვინიდან, რომელიც ღეროვანი უჯრედების დიდ რაოდენობას მოიცავს, ისინი საშველად მიემართებიან და აღადგენენ სასიცოცხლო ბალანსს ორგანიზმში.

სამოციანი წლების დასაწყისში ჩვიდმეტი ბავშვის ჭიპლარის სისხლით ინპლანტაცია ჩაუტარეს ქალბატონს, რომელიც მეტასტაზირებული სარკომით იყო დაავადებული. მკვლევარებს სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ახალშობილის სისხლში არსებული უჯრედები თრგუნავს სიმსივნურ წარმონაქმნებს. 1969 წელს ე. დ. ტომასმა პირველმა განახორციელა ძვლის ტვინის გადანერგვა ლეიკემიით დაავადებული ავადმყოფი ადამიანისათვის, ხოლო 1970 წელს მეცნიერმა ლეროი სტივენსმა პირველად გამოიყენა ტერმინი – ემბრიონალური ღეროვანი უჯრედები.

შესაბამისად დაიწყო მათი შესაძლებლობების დაუღალავი კვლევა, დაიხვეწა ძვლის ტვინის გადანერგვის მეთოდი სისხლის ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

ემბრიონის ღეროვანი უჯრედების კვლევას რელიგიური და, ამასთანავე მორალური მოსაზრებების გამო, მრავალ ქვეყანაში შეხვდა წინააღმდეგობა. განსხვავებული და შემწყნარებლური იყო დამოკიდებულება ჭიპლარის სისხლისა და ძვლის ტვინის მიმართ.

1988 წელს ელიან გლუკმანმა პარიზში პირველად ჩაატარა ჭიპლარის სისხლის გადანერგვის ოპერაცია ანემიით დაავადებული ბავშვისათვის. 2003 წლისათვის მსოფლიოში 1000-ზე მეტი ამგვარი სახის ოპერაცია განხორციელდა.

1990 წელს ზემოთ მოხსენიებულმა ე.დ. ტომასმა (ქირურგმა, რომელმაც პირველმა განახორციელა ძვლის ტვინის გადანერგვა), ნობელის პრემია მიიღო, ხოლო 1992 წელს საფუძველი დაედო "ღეროვანი უჯრედების ბანკის" შექმნას – დევიდ ჰარისმა პირველმა შეინახა ჭიპლარის სისხლი თავისი ვაჟიშვილის. ჭიპლარისა და პლაცენტის სისხლი – ღეროვანი უჯრედების უძვირფასესი წყარო, გროვდება და ინახება სტერილურ პირობებსა და განსაკუთრებულ ქილებში (კრიოქილებში). ამგვარი ბანკის არსებობა წარმოადგენს ერთგვარ დაზღვევას - თუ ადამიანს სიცოცხლის მანძილზე რაიმე დაავადება შეაწუხებს, მას საკუთარი ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის უნიკალური შესაძლებლობა ექნება.

1998 წელს სენსაციური ნაბიჯი გადადგეს ამერიკელმა მეცნიერებმა ჯეიმს ტომსონმა (დაიმახსოვრეთ ეს გვარი) და ჯონ ბეკერმა.

მართალია, სამყარო განვითარების XXI საუკუნეშია, მაგრამ ავადობასთან ბრძოლა ისევ უმნიშვნელოვანესია. ახალმა რეალობამ ახალი ქარაგმა მოიტანა - ღეროვანი უჯრედები! ვენდოთ თუ არა? დაფარულია თუ არა მასში სამყაროს ცვლილების საიდუმლო? არსებობენ საუკუნის აღმოჩენები, საუკუნის ადამიანები, საუკუნის ნაწარმოებები... ღეროვანი უჯრედები მეოცე ასწლეულის მედიცინის ყველაზე საკვირველი აღმოჩენაა და იგი ერთ-ერთმა მეცნიერმა გრაალის თასის პოვნას შეადარა. მან, შესაძლოა, სრულიად შეცვალოს დამკვიდრებული შეხედულებები მრავალი დაავადების შესახებ და აჩუქოს ადამიანებს ჯანმრთელობა, ძალა, ახალგაზრდობა, ხანგრძლივი სიცოცხლე, ხოლო ზოგჯერ – გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა.

გასული საუკუნის დასაწყისში, როცა რუსი მეცნიერი ჰისტოლოგი მაქსიმოვი სისხლწარმოქმნის პროცესს იკვლევდა, მივიდა დასკვნამდე, რომ ამგვარი უჯრედები არსებობენ. უფრო მეტიც, ღეროვანი უჯრედები წარმოადგენენ მთელი ორგანიზმის საწყისთა საწყისს. სწორედ მათგან იქმნება სხვადასხვა სახის უჯრედთა სპექტრი – კანის, სისხლის, ნერვული, კუნთოვანი ქსოვილის და ა.შ.

განვითარების ადრეულ სტადიაზე ანუ დედის მუცელში, ადამიანი თითქმის მხოლოდ ღეროვანი უჯრედებისაგან შედგება. ისინი თანდათანობით გარდაიქმნებიან – მათგან ყალიბდება ორგანოები და ქსოვილები. ასე რომ, ღეროვანი უჯრედები თავისებური და უნიკალური საშენი მასალაა, რომლითაც აგებულია ადამიანი.

ღეროვანი უჯრედები ყოველთვის მონაწილეობენ აღდგენით პროცესებში, ებრძვიან ავადმყოფობასა და სიბერეს. ისინი ერთგვარ "სასწრაფო დახმარებად" გვევლინებიან: თუ ორგანიზმში სადმე, რაიმე დაზიანდა – ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად, ღეროვანი უჯრედები მყის იქით მიემართებიან საშველად.

სამწუხაროდ, ასაკის მატებასთან ერთად, მათი რაოდენობა მცირდება და, ამიტომ, ორგანიზმის აღდგენითი შესაძლებლობებიც კლებულობს...

ჩვენი დროის რაინდი ქართულად

ჩვენი დროის რაინდი საბჭოთა სინამდვილეში ლერმონტოვის პეჩორინი გვეგონა, ომის რა ვიცოდით, ქვეცნობიერად ვთვლიდით, რომ ომი დიდების საქმეა, ოღონდ არც კი დავფიქრებულვართ, რა ასაკს მოიცავდა ეს "დიდი". 1989 წლის 9 აპრილი ახალი საქართველოს ისტორიაში ახალგაზრდული (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მათი) თავდადების პირველი მკვეთრი გამოვლინება იყო ... მერე დაიწყო ომების წყება სამაჩაბლო, აფხაზეთი, 2008 წლის 8 აგვისტო... მშვიდ ცხოვრებას არც ველოდებოდით მაგრამ...

2008 წლის 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე, რუსეთის 53-ე არმიის 70-ე მოტომსროლელი პოლკი ცხინვალის დასატოვებლად ემზადებოდა. მეომრებს შორის იყო ვინმე დროზდოვი, რომელსაც ბატალიონის მეთაურის (გრიგორი ხარიტონოვი) თქმით, სარატოვში ქართველი მეგობარი ჰყავდა.

არმია ნიქოზისკენ მიდიოდა, უეცრად კოლონა ქართული არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოექცა. ჯარისკაცები თავზარდაცემულები უყურებდნენ როგორ ეკიდა ცეცხლი ტანკებს და მძიმე ტექნიკას, იყვნენ დაღუპულებიც.

ბრიგადის საშტაბო ასეული სოფელ ყელქცეულადან გორისკენ მიემართებოდა. მათ არ ჰქონდათ კავშირგაბმულობა და ასეულის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, რომ გორამდე არც ერთი ქართული შენაერთი აღარ იმყოფებოდა.

სოფელ შინდისთან ასეულმა ტანკები შენიშნა, ერთ-ერთ ტანკს ქართული დროშა ჰქონდა დამაგრებული, რაც ქართველებმაც შეამჩნიეს და აუღელვებლად გააგრძელეს გზა. უეცრად, რკინიგზასთან გამაყრუებელი ხმა გაისმა, კოლონის პირველი და ბოლო მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია, შიგ მსხდომებმა გადმოსვლა ვერ მოასწრეს...

ასეულის მეთაური მიხვდა, რომ ის ტანკები რუსული იყო და დროშა სატყუარა. ამ დროს რუსული კოლონა უხალისოდ მიდიოდა და ბატალიონის მეთაური, ხარიტონოვიც დუმდა. სიჩუმე რადიოკავშირმა დაარღვია, რომელმაც მათ აცნობა, რომ რუსული დაჯგუფება შინდისთან ქართველების ჩასაფრებაში მოჰყვა და ითხოვდნენ დახმარებას. ხარიტონოვი მეომრებთან ერთად შინდისისკენ გაემართა.

შინდისში, რუსების მეთაური გაოგნებული იყო ქართველების წინააღმდეგობით. ხარიტონოვმა გადაწყვიტა, რომ ისინი არ ეყოფოდნენ ქართველებს და რადიოკავშირის საშუალებით კიდევ ერთი დამხმარე ჯგუფი და მძიმე ტექნიკა გამოიძახა. რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოს მაინც თავისი გააკეთა და ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

ადგილზე მისული რუსები გაკვირვებულები დარჩნენ. ხარიტონოვი და მეორე მეთაური გაოგნებულები და გაქვავებულები იდგნენ, გვამები გადათვალეს და მხოლოდ 12 კაცი აღმოჩნდა. ჯარისკაცი საშა დროზდოვი გაოცებული იდგა და არ სჯეროდა, რომ მათ ასეულს, მხოლოდ 12 ქართველი ებრძოდა. ბატალიონის მეთაური ხარიტონოვი მდუმარედ იდგა და ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს...

- აი ასეთი ბიჭები რომ მყოლოდა იქ... ჩაილაპარაკა და გაბრუნდა. დროზდოვმა კი გაიფიქრა, რომ იგი ჩეჩნეთს გულისხმობდა..

შინდისის გმირების წინააღმდეგ გამოიყენეს თითქმის ყველა სახის იარაღი, ტანკების 125 მმ-იანებით დაწყებული ნაღმმტყორცნებით, სხვადასხვა ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით დამთავრებული... ვერ დაამარცხეს.

დეკემბერში ვიყავი შინდისში, იქ ისეთი სიმშვიდე თუ იდუმალება იყო... ვიდექი სამმო საფლავთან და სიამაყისა და უღონობის ცრემლი მახრჩობდა, რამდენის გადატანა უხდება ჩემს მამულს, კიდევ კარგი ნამდვილი ვაჟკაცები არსებობენ თორემ რა გაუმკლავდებოდა საქართველოს მიწაზე მონადირე ვანდალებს...

არ შემიმჩნევია, როგორ მომიახლოვდა შავებში ჩაცმული რამდენიმე ქალბატონი, ტაძრის შესასვლელთან გამომელაპარაკნენ.

- ეგეთს კინოში ვერა ნახავ ... ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც გაქცევა შეეძლო, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი ბიჭის თავს გულში იხუტებდა ... მობილური ტელეფონით სადღაც რეკავდა.. ეტყობა ხმა არ გასცეს, მობილური მოისროლა და დაჭრილ ბიჭებს გასძახა, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, "ლიმონკა" მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნებაო. ... მე ვილოცებ, თქვენ გულში მაინც გაიმეორეთო და "მამაო ჩვენო" ხმამაღლა ილოცა. მერე ყველაფერი წამებში მოხდა...

საქართველოში ძნელია მამაცობით გააკვირვო ვინმე და მაინც ...

ნ. ხატიძე.

მიმდინარე წლის 30-31 ივლისს ცემენტის ქარხნის მიკრო სტადიონზე საინტერესო და დაუვიწყარი სანახაობის მოწმე გახდა ფეხბურთისა და სპორტის მოყვარული აქაური გულშემატკივარი, ახალგაზრდობა, ვეტერანები... პირველად რაიონის ისტორიაში გაიმართა საქალაქო ტურნირი მინი-ფეხბურთში ვეტერანთა შორის, რომელიც მიეძღვნა კასპის საფეხბურთო გუნდ "განთიადის" გარდაცვლილ ფეხბურთელებს. ტურნირის ჩატარების ინიციატორები: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური /თეა ხორბალაძე, გოდერძი მარიდაშვილი/ და სპორტის დაწესებულებების გაერთიანება /შოთა გოგიაშვილი/. ტურნირი ჩატარდა წინასწარ შემუშავებული, დამტკიცებული დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ საინტერესო სპორტულ პაექრობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ აქაურ ვეტერან "განთიადელებს", მათ, ვისაც შეჯიბრების დაწყებამდე შეუსრულდათ 40 წელი.

– ტურნირის მთავარი მიზანი გახლდათ ფეხბურთის და საერთოდ სპორტის პოპულარიზაცია, აგრეთვე, ვეტერანთა ჩართვა მასობრივი სპორტის განვითარებაში, – განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, – და უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა ტურნირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენს რაიონში განსაკუთრებულად უყვართ სპორტის ეს სახეობა, ამავე დროს დიდ პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ იმ პიროვნებების მიმართ, რომლებმაც თავისი შრომითა და მონდომებით, ენთუზიაზმით შექმნეს და მომავალ თაობებს შემოუნახეს ჩვენი რაიონის ფეხბურთის ისტორია.

ამ სანახაობრივი ასპარეზობის დაწყებამდე ტურნირის მონაწილეებმა და დამსწრე საზოგადოებამ, მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ გარდაცვლილი ვეტერანი ფეხბურთელების ოჯახების წევრები და ახლობლები, შთამომავლები, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საფეხბურთო კლუბ "განთიადის" ყველა თაობის გარდაცვლილი სპორტსმენის ხსოვნას, რომელთა რაოდენობა ას ადამიანს ითვლის.

ტურნირში მონაწილეობის სურვილით განაცხადი ოთხმა გუნდმა წარადგინა და თქვენ წარმოიდგინეთ, ალბათ ისიც სიმბოლურია, რომ ვეტერანი ფეხბურთელები მშობლიური გუნდის სახელს ვერ შეელივნენ და სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ამჯერადაც " განთიადი" დარქვეს, მოკლედ, ტრადიციული წილისყრის შედეგად, თავდაპირველად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: "განთიადი"-1, "განთიადი"- 4, "განთიადი"-2, "განთიადი"- 3.

– მოგეხსენებათ, რომ ტურნირის დამტკიცებული დებულების თანახმად თითო თამაშის ხანგრძლივობა განისაზღვრა 20 წუთით და ორი ათწუთიანი ტაიმით, – აცხადებს სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი, ამ ტურნირის წამყვანი და ერთ-ერთი ორგანიზატორი ტარიელ ბეგლარაშვილი, – ძალიან დაძაბული, ამავე დროს აზარტულიც აღმოჩნდა გუნდების "განთიადი"-1 და "განთიადი"- 4 -ის ორთაბრძოლა, დაპირისპირების ძირითადი დრო მათ ფრედ, საბრძოლო ანგარიშით 2:2 დაასრულეს, შემდეგ კი, დებულების შესაბამისად დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც უფრო ზუსტნი "განთიადი"-4-ის ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო პაექრობა იყო საბრძოლო, დადებითი სულისკვეთების... გუნდების "განთიადი"-2 და "განთიადი"-3 შეხვედრების პირველი ტაიმი ფრედ 1:1 დამთავრდა, მეორე ტაიმში ვეტერან თამაზ ჯუხარიძის მიერ გატანილმა გოლმა "განთიადი"-3 ფინალში გაიყვანა, სხვათა შორის, ამავე გუნდში თამაშობდა თამაზის ტყუპისცალი რამაზ ჯუხარიძეც.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ "განთიადი"-2 და "განთიადი"-3 ვეტერანი ფეხბურთელები. შეხვედრის პირველი ტაიმი "განთიადი"-1 ფეხბურთელებმა 2:0 მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში დათმეს უპირატესობა და გაშვებულ 4 გოლს მხოლოდ ერთით უპასუხეს და საერთო ჯამში 4:3 წააგეს. კიდევ უფრო საინტერესო იყო ფინალური მატჩი, ფინალურ შეხვედრაში "განთიადი"-3 ფეხბურთელებმა მალხაზ მურადელმა, ნოდარ ნავროზაშვილმა, ალექსანდრე მანძულაშვილმა, თამაზ ჯუხარიძემ მეტოქე გუნდის, "განთიადი"-4 კარში ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს და მინი-ფეხბურთში ვეტერანთა შორის კასპის მუნიციპალიტეტის პირველი საქალაქო ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე ადგილზე "განთიადი"-4 გავიდა, ხოლო "განთიადი"-2 მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ტურნირის მსაჯები: ზაურ დადიანიძე, დათო კობაური, მამუკა ზაქარაშვილი. დაწესებული იყო პრიზები: საუკეთესო მოთამაშე, ბომბარდირი, საუკეთესო მეკარე, აგრეთვე, გუნდებიდან საუკეთესო მოთამაშე... ტურნირზე მოწვეული ვეტერანი ფეხბურთელების: შალვა წითურის, გურამ ქარქაშაძის, რეზო ტყემალაძის, ავთანდილ ჯალალის, რობერტ მაისურაძის შემადგენლობით შექმნილი ჟიურის გადაწყვეტილებით ვეტერანთა შორის მინი-ფეხბურთში კასპის მუნიციპალიტეტის პირველი საქალაქო ტურნირის საუკეთესო მეკარედ დასახელდა პაატა დაბრუნდაშვილი, სამი გატანილი გოლით /ერთ თამაშში შესრულებული ჰეთტრიკით/ ტურნირის ბომბარდირი გახდა დავით ბერიანიძე, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდებიდან გამოარჩიეს საუკეთესო მოთამაშეები: ნუკრი მიდელაშვილი, ნოდარ ნავროზაშვილი, გია მჭედლიშვილი, რომლებიც დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით.

აღნიშნული ტურნირის ორგანიზებისათვის გაწეული ხარჯები სპორტის დაწესებულებების გაერთიანებამ /დირექტორი შ. გოგიაშვილი/ გაიღო.

ფინალში მონაწილე გუნდების შემადგენლობა, "განთიადი"-3: მალხაზ მურადელი, გიორგი ხაჩირაშვილი, ნოდარ ნავროზაშვილი, ზურაბ ყარალაშვილი, მიხეილ თაგვიაშვილი, ალექსანდრე მანძულაშვილი, რამაზ და თამაზ ჯუხარიძეები, პაატა დაბრუნდაშვილი. "განთიადი"-4: გოდერძი მარიდაშვილი, მამუკა ზაქარაშვილი, შავლეგო მაჭარაშვილი, რეზო კერესელიძე, ნუკრი მიდელაშვილი, თამაზ ჯლანტიაშვილი, გიორგი მერებაშვილი, რამაზ რუბაშვილი.

მესამე ადგილისათვის მებრძოლი გუნდების შემადგენლობა, "განთიადი"-1: გია მჭედლიშვილი, ვაჟა ჯაბური, ხვიჩა ჯარმელაშვილი, ჯამბულ ნონიაშვილი, სუმბათ მინასიანი, მიშა მაკეევიჩი, გია ბალხამიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი, ლერი მამულაშვილი, ენგურ წინამძღვრიშვილი. "განთიადი"-2: ზაურ დადიანიძე, გია მაკრახიძე, გიორგი გზირიშვილი, თემურ ახლოური, ნუგზარ გურასპაშვილი, გიორგი შალუტაშვილი, დავით ბერიანიძე.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ცხელი ზაფხულის სპორტული ცხოვრების დღიური

ქართული ჭიდაობა

✦ 22 ივლისი, ქ. კასპი – ტრაგიკულად დაღუპული გიორგი მერებაშვილის (1985-2005) ხსოვნის ტურნირში, მისივე სახელობის ღია საჭიდაო არენაზე, იასპარეზეს გორელმა, ხაშურელმა, ქარელელმა, მცხეთელმა და კასპელმა ჭაბუკებმა. საინტერესოა, რომ ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვებული კასპის სპორტკომპლექსის აღსაზრდელია: ნიკა კალატოზიშვილი (42 კგ), გიორგი ქებაძე (46), ლუკა ფეიქრიშვილი (50), ვალერი მღებრიშვილი (60) და ბაქარ ერაშვილი (70).

✦ 26 ივლისი, სოფ. კავთისხევი – 2014 წლის აგვისტოს ბოლო დღეს გახსნილმა, ვალერიან იაშვილის (1945-2004) სახელობის, ღია საჭიდაო არენამ კვლავ უმასპინძლა საქართველოს 10-ზე მეტი ქალაქისა და სოფლის უფროსი ასაკის მოჭიდავეებს. ყველაზე საპატიო, მძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მეტეხელი (კასპის რაიონი) ბექა ბერძენიშვილი (მწვრთნელი – იოსებ მამულაშვილი). მას სპორტული კომპლექსის (დირექტორი – გიორგი ნიპარიშვილი) მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადასცა ვეტერანმა მოჭიდავემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ძიუდოში (1972 წ.) ჯემალ ხორბალაძემ (სოფ. დოესი). კასპელი მოჭიდავეებიდან კავთისხევში იყოჩაღეს, ასევე, ტრისტან ფეიქრიშვილმა (70) და ამირან იანვარაშვილმა (90), რომლებიც მე-2 ადგილებზე გავიდნენ.

✦ 28 ივლისი, სოფ. ლამისყანა – "ივლიტობის" საეკლესიო და სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით სოფლის ძველ საჭიდაოზე გაიმართა იქაური ცნობილი მოჭიდავის, გივი ბალხამიშვილის (1938-2008) ხსოვნის მემორიალური ტურნირი (15-16 წლის ჭაბუკებს შორის, 10 წონით კატეგორიაში). პარალელურად, გოგლა რამაზაშვილისა (1900-1960) და ლევან ბეინაშვილის (1984-2005) ხსოვნის მემორიალური თასები გათამაშდა უფროსი ასაკის მოასპარეზეთა შორის (5 კატეგორიაში). ჩვენმა აღსაზრდელებმა მოიპოვეს 10 პირველი, 11 მეორე და 8 მესამე ადგილისათვის დაწესებული დიპლომები და თასები (შენიშვნა: აბსოლუტურ წონაში ფინალური ორთაბრძოლა დათმო 21 წლის სპარტაკ გულიაშვილმა, რომელსაც მოუგო მანგლისელმა გამოცდილმა ფალავანმა გიორგი კობაიძემ და ტრადიციული პრიზიც ირგუნა ყოჩის სახით).

✦ 29 ივლისი, სოფ ხვედურეთი (ქარელი) – საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავნის (1985-86 წლებში) ჯემალ მჭედლიშვილის სახელობის ტურნირის მძიმეწონოსანთა (+90 კგ) ფინალურ ორთაბრძოლაში, ისევე, როგორც კავთისხევში 3 დღით ადრე, კვლავ ჩვენებური ბექა ბერძენიშვილი და მანგლისელი გიორგი კობაიძე გაპაექრდნენ (მათი გვარები ადგილგადანაცვლებით წაიკითხეთ და მიხვდებით ამ ჯერზე გამარჯვებულის ვინაობას).

✦ 11 აგვისტო, დაბა თიანეთი – მეტეხელი ახალგაზრდა

მოჭიდავე, გიორგი კანკავა, წარმატებით გამოვიდა ცნობილი თიანეთელი მოჭიდავის თენგიზ არაბულის, ხსოვნის მემორიალურ ტურნირში – 80 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის მოასპარეზეთა შორის მე-2 ადგილი დაიკავა. მისი მწვრთნელია ჯერაც მოქმედი მოჭიდავე კახა მამულაშვილი.

✦ 11 აგვისტო, სოფ. წყნეთი – მეტეხელმა ნაცადმა მოჭიდავეებმა, ბექა ბერძენიშვილმა და კახა მამულაშვილმა, "წყნეთობის" სახალხო დღესასწაულის დამამშვენებელ სპორტულ ზეიმზე მათთვის დამახასიათებელი და ჩვეული სტილით იჭიდავეს:



პირველი მათგანი აბსოლუტური ფალავნობისათვის ფულადი პრემიით დაჯილდოვდა, მეორე კი თითქმის 15-წუთიან (!) ორთაბრძოლაში "დაკმაყოფილდა" მე-2 ადგილით.

აქვე წარმატებით გამოვიდნენ კასპის სპორტკომპლექსის ნორჩი მოჭიდავეები – ლამისყანელი ლუკა გულდედავა და იგოეთელი ლუკა ჩადუნელი: მათ პირველ-მეორე ადგილები გაინაწილეს (30 კგ-ში).

✦ 12 აგვისტო, სოფ. შინდისი (გორი) – ბექა ბერძენიშვილმა ქართული სოფლების საჭიდაო არენებზე წარმატებული საგასტროლო-საჭიდაო ტურნე გააგრძელა "შინდისელი 17 გმირის" ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირშიც. მას კვლავ არ ჰყავდა ბადალი აბსოლუტურ ფალავნობაზე.

კიკბოქსინგი

✦ 28-29 ივლისი, ქ. თბილისი – დედაქალაქის საერთაშორისო ტურნირში 5 ქვეყნის წარმომადგენელმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა იასპარეზეს. მათთან დაპირისპირებაში წარმატებით გამოვიდნენ კასპის სპორტკომპლექსის ოთარ თოიძის სამწვრთნელო ჯგუფის შეგირდები: 12-წლიანებში გაიმარჯვა დურსუნ ალიევმა, 16-წლიანებში -– რაულ ჯაფაროვმა; 10-წლიანთა შორის მე-2 იყო გიორგი თეზიაშვილი, ხოლო 15-წლიანებში – რაჰიმ ისმაილოვი.

კალათბურთი

✦ 30 ივლისი, ქ. კასპი – ადგილობრივი გუნდი "კასპის" ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეთა შემადგენლობაში მწვრთნელმა დავით ჯინიყაშვილმა, გამოცდილების მიღების მიზნით, ჩართო, ასევე, 14-წლიანი ჭაბუკების ნაკრების რამდენიმე წევრი. მეტოქე სერიოზული იყო – ქ. თბილისის საკალათბურთო სკოლა "ორბის" გუნდი, რომელიც საქართველოს საკალათბურთო გათამაშების "ა" ლიგაში გამოდის. ჩვენმა ბიჭებმა შარშან ურიგოდ არ ითამაშეს "ბ" ლიგაში, სადაც პლეიოფში გააღწიეს.

სამბო

✦ 12 აგვისტო, ქ. კასპი – ეროვნულ ფედერაციას (პრეზიდენტი ავთანდილ ცინცაძე) ყოველწლიურ სატურნირო გრაფიკში უზის ახალგაზრდული პირველობა (1998-99 წლებში დაბადებულთა შორის), რომელიც 1999 წლის ევროპის ჩემპიონის ვანო გამხიტაშვილის (1973-1999) ხსოვნას ეძღვნება და წინ უსწრებს მსოფლიო ჩემპიონატებს (ოქტომბერში ქ. თბილისში ჩატარდება). რიგით მე-5 ტურნირი ამჯერად ქ. კასპში ჩატარდა და უნდა ითქვას, რომ ესოდენი დონის ღონისძიების ორგანიზებას თავი კარგად გაართვა სპორტკომპლექსის დირექციამ (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი). ამიტომაც, მისივე ინიციატივით, გადაწყდა, რომ ტურნირი მისამართს შეიცვლის და ამიერიდან ვანო გამხიტაშვილის მშობლიურ რაიონში ჩატარდება...

უშუალოდ შეჯიბრებას რაც შეეხება, მასპინძლებმა 5 სამბოელი გამოიყვანეს: 74 კგ-ში – ნიკო ხუბაშვილი და მალხაზ ხუროშვილი (მწვრთნელი კახა ხუბაშვილი); 81 კგ-ში ასევე, წყვილი – ზაზა ჯანანაშვილი და ლაშა დუდაშვილი, ხოლო მძიმე წონაში (+90) – სპარტაკ გულიაშვილი (მწვრთნელები ნუგზარ და იოსებ მამულაშვილები).

ცნობილი ქართველი ფალავნის, შოთა გულიაშვილის ძმის, სპარტაკის, 21 წლის შვილიშვილი – უმცროსი სპარტაკი – რომელიც მომავალი იურისტია (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორეკურსელია), კასპელთაგან ყველაზე უკეთ წარმოჩნდა – მძიმეწონოსანთა პაექრობაში მისი გამარჯვება შეჯიბრების ბოლო პაექრობა იყო და გვირგვინად დაედგა ფრიად წარმომადგენლობით ტურნირს.

უნდა მივულოცოთ, ასევე, ნიკო ხუბაშვილს და მალხაზ ხუროშვილს, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს.

პ.ს.: 90 კგ-ის, ანუ "ვანოს წონაში" მოჭიდავეებიდან გამარჯვებული გახდა გორელი ომარ საური, მას საგანგებოდ დაწესებული თასი გადასცა ფალავნის დედამ – ქალბატონმა დალი მანძულაშვილმა-გამხიტაშვილმა.

ძიუდო

✦ 14 აგვისტო, ქ. კასპი – სპორტკომპლექსის დირექცია (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) და მწვრთნელთა ჯგუფი (ბერდია ნატროშვილი, კახა ხუბაშვილი) თანდათან აფართოებენ საერთაშორისო სპორტულ კონტაქტებს. მათი მოწვევით ამჯერად ლეხურისპირა ქალაქში სავარჯიშოდ იმყოფებოდა ქ. ალმაატის (ყაზახეთი) ძიუდოს სკოლის მოსწავლეთა და მწვრთნელთა 25-კაციანი ჯგუფი, რომლებიც საქართველოში შეკრებას გადიან ეროვნული ოლიმპიური მზადების ცენტრში.

სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთში გამართეს სასპარინგო ორთაბრძოლები, რაც, უთუოდ, დადებითად წაადგება ჩვენი ახალთაობელი ძიუდოისტების შემდგომ დაოსტატებას.

კასპის სპორტული კომპლექსი.

გვხვდით ჩვენი მკითხველი!

„ყვავილებს“ ალბომიდან

მაია წიკლაური-ძიძიგური

“მარტყოფული ზაფხულიდან”

დილა მოისხამს მზის
სხივებს,
გზები - მთებსა და
მინდვრებს.
ქუჩა - მანქანებს, კორ-
პუსებს,
ჩხირები - ჭრელ-ჭრელ
წინდებს.
მიწა მოისხამს ბაღ-
ბოსტნებს,
ზღვებს, მდინარეებს,
ტრასებს.
ზღვები მოისხამს
ტალღებს და
ნაპირს, კენჭებით
სავსეს.
საღამო ისხამს სიჩუმეს,
კბილის ჯაგრისებს,
საპნებს.
ღამე გრძელ ძილსაც
მოისხამს,
ცოტა ხვრინვას და
საბნებს.
წვიმა მოისხამს გუბეებს,
გუბე - მოისხამს
ბოტებს.
დაბადების დღე -
საჩუქრებს
და ფერად-ფერად
ტორტებს.
ზაფხული ისხამს რუჯს,
ხალისს,
ჭრიჭინებს, საქანელებს.
ზამთარი ციგებს, ქურ-
თუკებს,
გუნდებით სავსე ხე-
ლებს.
მაგიდა ისხამს საუზმეს,
ბიბლიოთეკა - წიგნებს,
წიგნები ზღაპრებს
ისხამენ,
სოფლები - ხბოს და
ციკნებს.
სიცხე მოისხამს - ცივ
ნაყინს,
პეპლებს მოისხამს -
ველი.
ტრანსპორტი - მგზა-
ვრებს მოისხამს,
ხაჭაპურს ისხამს -
ყველი.
ურნები - ნაგავს, ქვაბი -
კერძს,
ბანკი - ფულს ისხამს
უხვად.
ბავშვებს სათამაშოების
მოსხმა ძალიან უყვართ.
ხეს ჩიტის ხმები ასხია,
ლეპტოპს - მულტ-
ფილმთა ხვავი,
საკრავებს ბგერა ასხია,
დღე ისხამს - იმედს,
ხვალის.
გული რას ისხამს? -
სიყვარულს!
ხელები ისხამს -
ალერსს
და საქმეებსაც უთვალა-
ვს უჩენს კაცებს თუ
ქალებს.
ვიცნობით ჩვენი ნაყ-
ოფით და სულ ესა
ვართ, რაც ვართ -
რამდენ ცოდნას და
სიკეთეს ვისხამთ
ცხოვრების საგზლად.

ოუბილეი ხალოჯალოვების ცვმოსიილი ცოლოვში

ია /ილია/ კარგარეთელის სახელობის ახალქალაქის სამუსიკო სკოლის დაარსებიდან 35 წლის საიუბილეო და 2017-2018 სასწავლო წლის შემაჯამებელი კონცერტი საზეიმოდ აღინიშნა. სწორედ ამასთან დაკავშირებით სამუსიკო სკოლას ბევრი სტუმარი ეწვია, აქ იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები და სოფლის აქტივის წარმომადგენლები, მოსწავლეების მშობლები და სპეციალურად მოწვეული სტუმრები...

საზეიმო კონცერტის დაწყებამდე დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა სამუსიკო სკოლის დირექტორი ლია ნაზარაშვილი, რომელმაც მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადა სტუმრებს, შემდეგ ამომწურავად ისაუბრა სკოლის 35-წლიან ისტორიაზე...

ცნობისათვის, 1983 წლის ივნისში ახალქალაქში, თბილისის კონსერვატორიის პატრონაჟით საზეიმოდ გაიხსნა სამუსიკო სკოლა, რომლის გახსნაზე იმყოფებოდა კონსერვატორიის იმჟამინდელი რექტორი, კომპოზიტორი სულხან ცინცაძე, რომელმაც კონსერვატორიის სახელით სკოლას საჩუქრად გადასცა საკონცერტო როიალი. იმ დღიდან მოყოლებული ახალქალაქელი მოსწავლეები შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევენ. სკოლის პირველი დირექტორი იყო იამზე გეჯაძე, ხოლო 1997 წლიდან ამ მუსიკალურ დაწესებულებას სათავეში ჩაუდგა ცნობილი პიანისტი, აღიარებული პედაგოგი ლია ნაზარაშვილი, რომლის დაუღალავი შრომით, უდიდესი მონდომებით სკოლამ დიდ წარმატებებს მიაღწია.

მოსწავლეები 1997 წლიდან დღემდე სისტემატურად მონაწილეობენ სარაიონო, რეგიონულ, სამხარეო დელფიადებსა და მუსიკალურ ღონისძიებებზე, სადაც ყოველთვის იკავებდნენ საპრიზო ადგილებს.

სხვათა შორის, წელსაც სკოლის სამმა მოსწავლემ ანანო მჭედლიშვილმა, თემურ ხუციშვილმა და ლალი დავითაშვილმა ბორჯომში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე შეასრულეს საფორტეპიანო ნაწარმოებები, ღირსეულად წარმოაჩინეს მშობლიური სკოლა და მიიღეს ფესტივალის დიპლომები...

საიუბილეო კონცერტს სტუმრობდა კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი /ოჯახთან ერთად/, რომელმაც მოსწავლეებს, მათ მშობლებს გულითადად მიულოცა დღესასწაულები და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ახალქალაქს სტუმრობდა აგრეთვე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე. სიტყვით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, გაერთიანების კურატორი ბელა კობაიშვილი, საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის მთავარი სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი, კულტურის სამსახურის სპეციალისტი მაკა სომხიშვილი. საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ორსაათიანი კონცერტი მართლაც, რომ დაუვიწყარი იყო, მონაწილეთა შესრულება გამოირჩეოდა მაღალი საშემსრულებლო დონითა და ოსტატობით, შესრულდა კლასიკური მუსიკის უცხოური და ქართველი კომპოზიტორების განსხვავებული სტილის, ჟანრის, ფორმის, ხასიათის საფორტეპიანო პიესები და ანსამბლები.

სოლო, ვოკალური და გაერთიანებული გუნდის შესრულებით გაჟღერდა ხალხური და თანამედროვე ნაწარმოებები. სოლო სიმღერები შეასრულეს აჩიკო მიგრიაულმა, ანანო ოდოშაშვილმა, ელენე დათაშვილმა, ანამარია ბოჭორიშვილმა, ლიზი პატარქალიშვილმა,

საფორტეპიანო პიესები და ანსამბლები შეასრულეს: კობა და ანი კობაიძეებმა, თემურ ხუციშვილმა, ანანო მჭედლიშვილმა, ლალი დავითაშვილმა, ნინო გერმისაშვილმა, მარიამ აბუაშვილმა, მარიამ გელიაშვილმა, მარიამ გიგაურმა, მარიამ ნავროზაშვილმა, გვანცა ჯინიყაშვილმა, თათია ნავროზაშვილმა, ლიზი და თამარ პატარქალიშვილებმა, გვანცა ბროლაძემ და მარიამ ზაქარიაშვილმა.

კულტურა

ერთადრ შრომის სიხარულით ვნო შემჯამებელი კონცერტი

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეზოში უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი...

მოსწავლეთა ძალებით გამართულ საანგარიშო კონცერტზე დასასწრებად მოვიდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, მოსწავლეების მშობლები.

ყვავილებით, ბავშვების ნახატებით, ნაქარგებითა და ათასგვარი ლამაზი ნაკეთობებით დამშვენებული ეზო სტუმართა აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევდა.

საანგარიშო კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდა თეატრალური წრის მოსწავლეს ელენე ავალიანს. ჟღერდა ქართული საგალობლები, ცნობილი საესტრადო /გიტარის თანხლებით/ მელოდიები, ქართული პოლიფონია და ლიტერატურული შედევრები...

— დღეის მდგომარეობით 21 წრე ფუნქციონირებს და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი უაღრესად კეთილსინდისიერად, დაუღალავად ემსახურება მომავალი თაობის სულიერების წრთობისა და ამაღლების საქმეს, — აცხადებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი, — მართლაც რომ ნაყოფიერი იყო წლევანდელი სასწავლო წელი და ეს საანგარიშო კონცერტზეც ნათლად გამოიკვეთა.

სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო, შემეცნებით-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებზე, საზეიმო შეხვედრებსა თუ ქალაქში გამართულ დღესასწაულებზე, თექისა და ნაქარგების გამოფენებზე...

წელს მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელები გამარჯვებულები დაბრუნდნენ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეოთხე ეროვნული კონკურსიდან, დამსახურებულად დაიკავეს მეორე ადგილი და მიიღეს ლაურეატის წოდება, თეატრალური წრის /ხელმძღვანელი ლია მენაბდიშვილი/ მოსწავლეებმა გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი “მე-ჩვენ”, რომლის პრეზენტაცია საზეიმოდ მოეწყო და პატარა მსახიობებმა მაყურებლის უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვები მომავალი წლისათვის კიდევ უფრო საინტერესო, მრავალფეროვან ღონისძიებებს გეგმავენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ფოტო-მაჯიანე

„ახალი გზა“, იძიებს ცვიმდერიდეთ ცოცხალებს რეიონის ცვგვზეთი ოთხო-მეცანის შიცვჯმნილი. თხოვნით მივმართავთ თანხრეიონელებს - დადგეთ თჯეენი ყვალი ჩვენს მეცანიში! გვმოგვიგზავნეთ განვალილი ცხოვრების ამცახვილი, ინცოლრეის შიმნახვი, წინაპრების ცხოვრების ამცახვილი ცვიმდერიდეთ და ცვხალიანთ ოთხოები! ერთად გვიხცენოთ როგორ ცხოვრობდნენ, როგორ ვცხოვრობდით ...

გილოცავთ!

სათნო, დარბაისელ და მოსიყვარულე ქალბატონს დედა ივლიტას (ლამარა კახიანი-თათრიშვილი), მამულისათვის თავდადებული ვაჟის, გოჩა თათრიშვილის აღმზრდელ დედას გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

ღვთისმშობლის მომადლებული მოთმინებისა და სათნოების უსაზღვრო ნიჭი, რჩეულთა ხვედრია... უფალი გწყალობდეთ.

ჩვენ თქვენ ძალიან გვიყვარხართ.

კასპის გორგასლის სახელობის ეკლესიის მრევლი, მოძღვარი მამა გიორგი (ხოჯავა).

როცა მშობლებს ვრცელი

ძვირფასო ბავშვებო! წლებია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, ბევრ საინტერესო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და სამყაროზე ალპებში "დამალულ" საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"! კითხვებზე პასუხი სადრაც ხომ უნდა წაიკითხოთ.

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა."

კეხურა

ფოტო-მატიანე

,,ახალი განთიადი,, იძიებს ახინდერრიგო ბურთებს რეიონის ბავშვებით ფოტო-მასტიანის შეგროვებლ. თხოვნით მივმართავთ თანხრეიონერლებს - დადგენთ თქვენი ყველა ბავშვ მასტიანეში! გამოგვიგზავნეთ ახინდერრიგო და ახალი ფოტოები!

გამოიწერეთ ახალი განთიადი!

გახლით ჩვენი მკითხველი!

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასწარჩევნო ვგიფვლცილისა და წინასწარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2018 წლის 22 ვგვისფლდან - 2018 წლის 28 ოქტომბრამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ², მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760 სმ² A3 ფორმატის ჩანართის ტირაჟულებაა 368 ლ (1სმ²-40 თეთრი).

რედაქტორი ნანა მერეგბაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76